

ლახტი



№ 1

ყოველ-კვირეული სალიტერატურო კარკაჭურებიანი ჟურნალი

№ 1


მოუწოდებთ პატრუც მულ თანამშრომლებს, რათა ხელი შეუწყონ ჩვენს ჟურნალს და მოგვადონ მასალაზე.

ადრესი: Тифлиς. Мухранская ул. № 12. Для журнала „ЛАХТИ“.

ტარას შევჩენკო

ერთმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც დაიბადა უკრაინელების დადებული პოეტა შევჩენკო. ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო დაიბადა 1814 წელს 25 თებერვალს, კიევის გუბერნიის, სოფ. „მოროცაში“. მისი მამა იყო ყმა მებატონის ენგელგარტისა. თავისი ბავშვობა მოწავალში დიდებულმა უკრაინელმა ყმობაში გაატარა. ათას წლისამ დაჰკარგა მამა და ნათესავეებუ. მიებარა სოფლის სასწავლებელში. მალე მასწავლებელმა თანაშემწედ დაიყენა. შევჩენკო უნდა დახმარებოდა მოწაფეების გაწყვეტლაში. შევჩენკო მალე მოშორდა ამ „თანამდებობას“ და მგერობა დაიწყო. მაგრამ ამასაც მალე დაანება თავი. შემდეგ მწყემთაობდა, მაგრამ მალე ისევ მღებრობას მაჰყო ხელი. ახალი მისი პატრონა საქმეს სერიოზულიდ მოეპყრა, შევჩენკოან ნაჭა შეატყო და დაჰპარდა სწავლებას, მხოლოდ მოსთხოვა მოწმობა მებატონე ენგელგარტსაგან. შევჩენკო მივიდა მებატონეს მოურავთან, მაგრამ უკანასკნელმა მზარეულას თანაშემწედ დასტოვა ბატონთან. შემდეგ ოთახის დამლაგებლად გადააქციეს. მისი ბატონა ხშირად მოგზაურობდა სხვა და სხვა ქალაქებში და შევჩენკოც თან დაჰყავდა. პეტერბურგში შევჩენკომ შემთხვევით გაიცნო უკრაინელი მხატვარი სოშენკა. ამ შეხვედრამ გადაწყვიტა მისი ბედნი. მე-

ბატონემაც შეამჩნა ნაჭა და დასტოვა ხატვის შესასწავლად. პეტერბურგში შევჩენკო სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში. ამავე დროს ეკუთვნის მისი პირველი ლექები. მას უკვე ბევრი მეგობარა ჰყავდა და ამ მეგობრებს რჩევით 1870 წელს გამოვიდა პირველი კრებული მისი ლექებისა, რომელმაც შევჩენკოს სახელი გაუთქვა.



უკრაინლებში ამ წიგნმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. 1845 წელს მან დასრულა სამხატვრო აკადემია და სამშობლოში გაემგზავრა. აქ ორი წლის განმავლობაში თითქმის მთელი უკრაინა შემოიარა.

1846 წელს კიევში დაარსდა ფართული ორგანიზაცია „კირილე მეთოდეს ძმობისა“, რომლის მიზანი იყო სლავიანთა ყველა ერებისაგან ერთი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა. კიევიშირის წევრები გასცეს და შევჩენკოც, როგორც შეთქმულების მონაწილე 1847 წ. გადასახლეს და ჯარისკაცად ჩარიცხეს ორენბურგის გუბერნიისში. მას აღუკრძალეს წერვა და ხატვა, ამ გადასახლებამ ისევ ძლიერად იმაჰმედა პოეტზე, რომ ბოლო ხანებში პოეტმა სმას მიჰყო ხელი. ამდროს კი მისი მეგობრები პეტერბურგში ყოველ დონეს ხმარობდნენ, რომ პოეტი დაებრუნებინათ ციმბარადან. 1857 წ. სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ტოლსტოისა და მისი მეუღლის თხოვნით პოეტი განათავისუფლეს. დღენა უკვე დათვლილი იყო. იგი გარდაიცვალა პეტერბურგში 1861 წლის, 26 თებერვალს.

F3854 9/113

კანკები

ა.

სევდის ზღვა ვარ მოკვლავარე —
სატრფოდ მივის სევდის ია.
ცა არ მატკობის... გულის, მიზანდას
შემოდგომის პოეზია!..
მთვარე მწვევლის... სხაფხვს ღარ მფენს
გულის მიდგავს ქსანგი ცისა.
მიუყვანს სევდა, მიუყვანს ქსანგი
ახლდღის ნაპერწკლისა...

ბ.

გაფიჭურ ველად: იქ ვმდეკი ქსანგებს...
სამუფთი არის უდაბნო ჩემი...
ვიდა ვიტორი? — ტირილ-ძახილით
ზღვის ტაღლას მივეტ იმედის გემი!
ცრემლები „დავსწვი სატრფო ყვავილი,
საფლავთან ვსტორი, მუნღ-მოდრეკილი...
ვიდა ვიტორი, ოდესაც ვიმე —
ქსანგი გლფისა ჩამოკეილი...
გ.

გ.

მთად გადაველ... ზღვას მივადექ,
გარდავლახე ცის საზღვარი...
ვერსად ვხევე შევების ქსანგი,
ვერ ვიხევე შევების ცვარი...
ჩემი ქნარა, — მეკობარო,
შეითვისე ეს ტლუ გული.
წუთით მანტ მატკინობინე
სოფლის შევება — სისარული!

გ. ლეონიძე

რისთვის?

რისთვის ჩამოტყარ მთრთლავარე თითი
იდუმად სიმებს ჩემი სულისას?
რად დამსხვრე ჩანგა, რომელიც
გიმდერდა ქსანგებს სიფვარულისას?..

დამსხვრა ჩანგა... გარდიქა მტვრად...
შესწვდა მისი სმა, მის სიმთა ფლვრა...
რწმენის ზატრუქი ჩაქტა ჩემს გულში:
ზეტან ვერ სწვდება ჩემი სიმდერა.

დღეს კავშანი მფლვბს და მასში არს
იდვლები ტაძარი წმინდა...
განვლილი ჟამი ჩამარხულია, —
მე ვი ცის მკერდზე მზის სხივი მინდა...

რად გსურს ღამაზო, მომტაცო სული?
ჩემს წუხილს, კენესას რად უსმენ რათა?...
რისთვის ჩაჭყერფლე გულში, — მითხარი,
წმინდა გვარგინი ტკბილთა სწრაფვათა?..

მ. ლვამიანაძე.

ზატარა ფელეტონა

დევნა: „საფრანგეთის ფინანს-
თა მინისტრი“ კაიოს ცოლი შე-
ვდა ფრანგულ გაზეთს „ფი-
გაროს“ რედაქციაში და რე-
ვოლუციით დასტა მთავარი რე-
დაქტორი“.

რამ აიძულა მადამ კაიო — რევოლუ-
ციით შევარდნოდა რედაქტორს და
სასიკვდილოდ გამოემეტა კაცი, რომ-
ლის ერთად ერთი იარაღი — კალა-
მია, ჯერ არ ვიცით.

„ფიგარო“ გავრცელებული გა-
ზეთია პარიზის უმაღლეს საზოგა-
დოებაში — არისტოკრატიაში. ამ გა-
ზეთში ხშირად შეხვდება მკითხვე-
ლი ქორწინებისა, ბაღისა, საღამო-
სი, საქველ-მოქმედო წარმოდგენის
დაწვრილებით აღწერას.

ვინ იცის, იქნება მადამ კაიო
ნამდვილად მადამ პუანკარეზე ლა-
მაზი და მოხდენილი ქალია, და
„ფიგარო“ კი დასწერა: მთელ პა-
რიზში მადამ პუანკარეზე ლამაზი
ქალი არ არისო.

ან იქნება, „ფიგაროს“ რეპორ-
ტერმა დასწერა:

„ბულვარზე ვსვირნობდი. მადამ
პუანკარემ გაიარა ავტომობილით
კავალრებს თვალი ზედ დარჩათ და
მადამ კაიო ველარავინ შეამჩნია“.

ან იქნება „ფიგაროს“ ფელეტონ-
ნისტმა ასე იოხუნჯა: მადამ კაიოს
არც კაბა უხდება და არც შლიაპა.

სიმდიდრე, ფინანსები, ფინანსთა
მინისტრის ცოლობა, ქალს ვერ გა-
ალამაზებს, თუ ბუნებით არ არის
ლამაზი.

ყველა ეს, რაღა თქმა უნდა, სა-
წყენია ქალისთვის საზოგადოდ, და
უფრო კი მინისტრის ცოლისათვის.

ქალს უთხრა: „შენზე ლამაზი აი
ის ქალიაო, ან ეგ კაბა და შლიაპა
არ გიხდებაო“.

მოდრი და ნუ გაგულისდებთ ქა-
ლი.

და თუ ეს ერთმა ადამიანმა კი არ
უთხრა, არამედ გაზეთში დაიწერა,
მერე ისეთ გავრცელებულ გაზეთში,
როგორც პარიზის „ფიგარო“, მო-
დი და მოითმინოს ქალმა?

და ისიც ფრანგის ქალმა.
და მერე პარიზელმა ქალმა.
და ისიც მინისტრის ცოლია.

მოგახსენეთ, მიზეზი მადამ კაიოს
განრისხებისა ჯერ არ ვიცით, არ
ვიცი, რამ აიძულა სასიკვდილოდ
გამომეტნა გაზეთის მთავარი რე-
დაქტორი.

მაგრამ, მაგარი ის არის, რომ სა-
ფრანგეთის მინისტრის ცოლი უფ-
რო უბედური ყოფილა, ვიდრე ჩვე-
ნი მინისტრები და სენატორები.
ერთ თვეზე მეტია, რაც მთელის
რუსეთის გაზეთებში, ვინ იცის, რა
იბეჭდება ერთის სენატორის ცოლ-
ზე და მის მეგობარ მინისტრ-
ზე.

სენატორის შვილებმა — სტუდენ-
ტებმა ხმალია ცი გაიწვიეს მი-
ნისტრი...

მაგრამ... თქვენგან არ მიკვირს?..
მინისტრი... აბა სტუდენტებს ხმალი-
ში გაჰყვებოდა?..

გულნატკენმა სტუდენტმა თავი
მოიკლა.

გაზეთებმა მთელ ქვეყანას ამცნო
ეს ამბავი, მაგრამ არც მინისტრმა
და არც თავ-განწირულ სტუდენტის
დედამ ყურიც არ შეიბერტყეს და
არც წარბი შეიხარეს.

დიად... სულ სხვაა საფრანგეთი
და სულ სხვაა რუსეთი!

შუა უზის დიდი ზღვარი.

* *

დევნა: „ქალბატონ კაიოს მი-
ერ დატრლი რედაქტორი კალ-
ვერი გარდაიცვალა. მიზეზი ამ
აშბისა ის ყოფილა, რომ გა-
ზეთმა „ფიგარო“ დაბეჭდა წე-
რილები მინისტრის კაიოს სა-
წინააღმდეგო და სტრახავდა კა-
იოს პოლიტიკურ მდგვაწეო-
ბასა და კერძო ცხოვრებას.
„ფიგარო“ იხე გაკადნიერდა,
რომ კერძო წერილი კაიოსი
გამოაქვეყნა იმ კაცის ნება და-
ურთველად, ვისთანაც იყო მი-
წერილი. კაიომ სამსახურს თა-
ვი დაანება“.

აკი მოგახსენეთ, სულ სხვა ზნე-
ჩვეულებაა ჩვენში და საფრანგეთში.
კაიოს მეუღლემ ვერ აიტანა „ფი-
გაროს“ საქციელი. ძლიერ იწყინა,

რომ გაზეთი შეეხო მის მეუღლის კერძო ცხოვრებას.

სხვის წერილის წაკითხვა საფრანგეთში დიდ დანაშაულად ითვლება.

სხვის წერილის გამოქვეყნება მით უმეტესად უფრო დიდი დანაშაულია.

განრისხებულმა პარიზელმა ქალმა მოჰკლა რედაქტორი.

გულ-ნატყენმა მინისტრმა კაიომ იმავე დღეს სამსახურს თავი დაანება.

ღიად, აკი მოგახსენეთ, არა ჰგავს ჩვენი საერო განათლების მინისტრი კასლო საფრანგეთის ფინანსთა მინისტრს კაიოს და არც მისი მეგობარი ქალბატონი არ ჰგავს მადამ კაიოს.

ესეც კია: არც რუსეთი ჰგავს საფრანგეთს.

შავგვრემანი.

ესიკას უბედურება

(ს ც ე ნ ა)

იმე, ღმერთი დაქცევს და გადარეცხავს სიკოლიეს ოჯახს, იმან უბედურება გადაჰკიდა, ჩემთვის დაუჩუჩებულს ადამიანს. იმე, იმე, რა მიქნა, თქვენი ჭირიმეთ, რა მიქნა ამ ოჯახ-ამოსაკუბრავმა!

ერთი მინჯლაცული, დავარდნილი ძღაბი ყავს, ვაი, იმისი კუზო მეყიდოს. ბრატია ლომიძესთან ქუთესს, იმან მე ცოლი გადამირია.

ამ დღეებში ქუთეისს წვეთრია სიკოლიე და მისი ძღაბი ყვაჭაჭა, საყიდლებზე გევიხედვით თქვენი ჭირიმეთ და მესამე დღეს ქე ამევიდნენ. ვაი, რათ არ ჩაკედენ იმ ქუთეისში, თუ ჩემდა მოსანელებლად ამევიდოდენ მამა და შვილი?

მევიდნენ თქვენი ჭირიმეთ და მეიტანეს ფართლები, ნასკები, პირკლები, შლაპკა, მარა რა შლაპკა, არ იკათხაავთ? როგორც ორბისბუდე. წინ კაი ტაროიან სიმინდივით ქონდა გარიკინებული რალაციის შტო. ახლა პალტოს არ იკითხაავთ? გამოსახული ურწმუნოს საბანს მოგაგონებდა. პოლსაპოშკი? — ფონცკის, კაი ნავაზი ძაღლის თავის ხელა ქონდა. ცხვირი, იგეც ძველ ორლობესავით იყო მინგრეული!

გავარდა ხმა, სიკოლიეს თავის ქალიშვილისთვის სულ ფონცკური, ამერიკანწული საცმელები უყიდნიაო ვადასულა ნატალია, ჩემცოლი, უნახავს, მარა ჭკუიდან კილა შერყეულა.

შევედი სახლში. დამხვდა ჩემი ცოლი გაბლიზინებულ ხასიათზე. სი ახლოვეს არ მიმიკარა. „შენ დედაბერი ხარო, დათვი ხარო, ვირი ხარო“ იმე, მომაცარა და მომაცარა ცერცვის კაკალივით. მე ვიფიქრე, ნამდვილათ ჭკუა შეეშალა ჩემ ცოლს-თქვა.

დედა-კაცო, უფმური ხომ არ შეგყრია თქვა. — „უფმურიც შენ დაგეტაკა და გოცირიძის ავტონობილიცო. შენთან ვერაფერი სიამოვნება ვერა ვნახეო, სულ თვალმტირალი ვაგდივარო“.

იმე, იმე, ამევიდა სისხლი ყორყიტაში. რა გინდა, რა გაკლია დედა-კაცო-თქვა. „რავა რა მაკლია, შე სასიკვდილეო, გლახა სიკოლიეს ძღაბმა უნდა ჩეიცვას ახალი ფონცკის ამერიკანწულიო და მე ამ კონკებით ვიყო ამ კარგ დღესასწაულებზეო?“

იმე, რომ დამეტაკა თავის კონწოლში, ზაფრა ჩხილებში გამებედნა. ქე მიფხთი, რაცხა უბედურების ჩარხი ტრიალობდა ჩემს თავზე. მაგრამ ქე რა მექნა, რომ მეყვირა, ვარეს ბანს მომცემდა და რალა მექნა ამ ზამთარში? იმდენი იხვანხვალა, იმდენი იჯაჯღანა, იკრუსუნა, ქეკნარი, რომ მასესხებია მამასისხლათ აღექსიიდან ოთხი წითელი თუმნიანი და მესამე დღეს ქუთეისს ამო მარგოვია თავი. შევედი გრიქუროვის მალაზიაშიდ, მაგრამ რას შეხვალ, ან საშეხვალ უკეთეს საღლეტ ალაგას?

შლაპკები რა ფონცკის გინდა, ძველი და ახალი, ზოგზე თელი ტარაველი ყურძენი ეკიდა, ზოგზე ძირიანი ატამი, ვაშლი. ჭკუა კილამ შემერყა. არჩია, არჩია, არჩია, ერთიც არ მეეწონა.

„წინ რომ გაშტრინქინებული აქს, ის მინდაო“, რავარც იყო

ამოარჩია ერთი ახალციხური ძარის მსგავსი, ჩამეიძხო თავზე, ჩეიმალო ფეხებიანებ შიგ, წინ უშველებელი გაშტრინქინებული ფრთა ქონდა. ვინ მაცალა, გახვევს სტრაფათ, მარდათ, კარგათ, კაი კეკალი ათი მანეთიც დათვლევებს ნაღდათ, ამომიდვეს ღლიავში და გავყევი უკან ჩემს ამშენებელს.

შევედით პოლსაპოშკის ფაბრიკაში. იქაც არჩია, არჩია, მაგრამ არც ერთი არ მეეწონა. ახალი ფონცკის მინდაო, წვერ ფსხვილაო. აჰა, ესეც წვერ-ფსხვილაო, მოუტანეს ერთი მინგრეული პოლსაპოშკი. ჰო-ჰო-ჰო, ეს არისო. გულ-გასიებული შევსცქეროდი ჩემს დოვლათს, ჯავრი-საგან გარიკინებული ვიდექი. გამომაძრო ქესა, ამერილო წითელი თუმნიანი და მიაპერტყა უკრაინცოვს. რალა მექნა გავჩუღდით.

ესლა შევიდა ვილაც ვართანოვიაო, ისეთი ჩუმი, ყუჩი მოარშიყე ყოფილა, რომ ტატლიბის ფაბრიკანჩიკი გეგონებათ. აარჩია საპალტოვე, რაცხა ყვიფელი საზიზლარი სანახავი. ახლა გამართეს ურული ვაჭრობა. მე გულში მისკდებოდა, რომ ვაჭარი აბაზიანივით ყვლიზავდა თვალებს ძირძირს, მაგრამ შემეწია ღმერთი, გოუგე ხრიკი. თურმეთ ჩემ ცოლზე სულაც არ იფიქრავდა. სხვა მუხა უტრიალებდა თავში, ქალები სულაც არ ყვარებია, ისეთი უმანკო და უზღელი კაცი ყოფილა. ამასობაში ვილაცას აკოშკაში თვალი მოკრა გარეთ მიმამვალს და გარეთ ეიძანდა. იგიც მომცილდა, ვაჭრობაც გათავდა, ჩემმა ცოლმაც დაყაბულდა. შოუკრეს, ამომდვეს ღლიავში. გვასწავლეს პრიკაშიკებმა, ვილაც მოლიკა არისო, „ფედოსიაო“ მივედით, გაშინჯ-გამოშინჯა, დაადვა ლარი, გაბლანა და ერთ საათში ფხრიწინ-ფხრიწინი დააწყებია. ჩემმა ცოლმა ორი არშინი მეტი წამეილა, ეგებ ვასიკის საპალტოვეც გამევიდესო, მაგრამ არ შეგეტამოსთ ჭირმა, ნაკუწიც არ გადაარჩინა. შეახვია და იაშიკში გადააყუდა, რას ვიტყოდი,

სულ ფერად-ფერადი ყმაწვილები უსხდნენ გვერდში, შემემინდა თავების.

ასე გამითავდა ოთხი თუმანი, ოთხმა სახარებამ ამოწყვიტოს სიკოლიეს ოჯახი და ამ ფონცკების მომგონი!

კ. ლექლიკიანცი.

სოფლის ლხინიკოვანის

სიღვრა

ლხინი ძმებო, ლხინი ძმებო, ლხინი მამა-პაპური; ქული ქერში ვისროლოთ, სანამ გვათრობს კახური!..

ქეიფისთვისა ვცოცხლობთ, სულ ქეიფში ვიქნებით, რას მიქვიან სამშობლო თუ ფხიზლები ვიქნებით!..

სანამა გვაქვს ასე ვიქთ, გავახარებთ ქიასა, მოვკვდებით, ტიტვლათ ჩავალთ სამარის კარს ღიასა!

მიწა-წყალი რა არის, ეს სულ მეტი ბარგია, საქართველო რათ მინდა, თუ მე არას მარგია!..

პეტრუზა.

რუსთა უორის

ახარებული ბრძანება.—მხიარული სტანიცა—ცოლი მოჰპარეს.

კრონ შტატის ნავთ-სადგურის უფროსმა შეძღვეი ბძანება გასცა:

„ბალტიის ფლოტის მეზღვაურებმა, სასეირნოდ დათხოვნილებმა—ივანე შიდლოვსკიმ, ტიმოფეი გორლიხმა და აღექსი ნოვიკოვმა—სადაც მალულად იშოვნეს არაყი და ლუდი, დათვრნენ და როცა გემზე დაბრუნდნენ, შესქამეს ერთი კათხა კომბოსტო ხახვით, რის შემდეგაც შიდლოვსკი გრძობაზედ არ მოსულა და ისე მოკვდა. ეს სამწუხარო შემთხვევა ამტკიცებს, რომ აღამიანი ხანდახან პირუტყვზე უგუნურია და არ იცის ზომიერება ქამა-სმაში.“

ამ ბრძანებით გორლიხი და ნოვიკოვი უფროსმა სამსახურში დააქვეი-

თა და ორივეს 30 დღე-ღამით დაპატიმრება მიუსაჯა.

გარდაცვალებული შიდლოვსკი კი გადურჩა ამ სასჯელს.

რუსეთში ერთი სტანიცა ყოფილა—სამშინსკაია, მეტად მხიარული და არაყის მოყვარული. თურმე ყველა სახლში დუქანია გამართული და არაყს თავისუფლად ჰყიდიან. მოხუცებულები ჩივიან — ახალიგადობა ძლიერ გაგვერყვნაო. ყველიერში თურმე ამ სტანიცაში ერთი კაციც არა ყოფილა ფხიზელი. მთელი სოფელი მთვრალი იყო. სიმთვრალეს თან ახლდა ჩხუბი, აურ-ზაური, მუშტი-კრივი და ცემა-ტყევა.

თითქმის ამავე დროს სახელმწიფო სათათბიროში დიდი კამათი იყო იმის შესახებ, რა საშუალებას მივმართოთ, რომ რუსეთში ღოთობა შევამციროთ.

იქ ლაპარაკობდნენ დეპუტატები ღოთობის წინააღმდეგ და აქ კი, სტანიცაში, არხეინად ქეიფობდნენ.

კურსკის გუბერნატორს შემდეგი თხოვნა მისვლია აღექსი საზონოვი საგან:

„მთელ ჩვენ დიაკონოვოს ოლქში არასოდეს არა ყოფილა ისეთი ქურდობა, რომელიც ეხლდა, ბოქაულის ჩუმიჩევის დროს. ქურდების წინააღმდეგ ბოქაული არავითარ ღონისძიებას არა ხმარობს.

23 იანვარს, დამის 12 საათზე, ჩემი სახლიდან დაიკარგა ჩემი ცოლი პრასკოვია, 45 წლისა მივმართე ბოქაულს და მითხრა:

— ჩემი საქმე არ არი. ვინ გეხვეწებოდა — ცოლი შეირთეო.

როგორც გავიგე, ჩემი ცოლი მოუპარავეს ბეითალს ნ. ბ.—ს, რომელიც ეხლა პეტერბურგში სცხოვრობს. ქალიც იქ წაუყვანია და მასთან არის მზარეულად.

უმორჩილესად გთხოვთ მომიხახოთ ჩემი ცოლი და თუ ბეითალის სახლში აღმოჩნდა, მე გამომიგზავნოთ, თვით ბეითალი კი სამართალში მისცეთ ჩემი ცოლის მოპარვისათვის.“

რუსი.

ძველებურად აღარა ვარ!..

ძველებურად აღარა ვარ... აწ აღარ ვარ,—მონა მხდალი, აწ სულ სხვა ვარ, სულ სხვა რიგად მოქიკტიკე,—მომღერალი!..

შეების ჩანგმა მე შემიტკბო, გამაგონა თვისი ჟღერა, ჩიქსოვა სამუდამოდ ჩემი კვნესა, — ჩემი მღერა!..

მან დამატკბო, მან შემინდო... გამიმაგრა ჩაგრულს გული, და გამაცნო მისმა ჟღერამ საოცნებო სიყვარული!..

... და აწ არ ვარ, გამიგონეთ!.. ძველებურად მონა მხდალი, აწ სულ სხვა ვარ,—სულ სხვა რიგად მოქიკტიკე,—მომღერალი!..

ი. მამავალიშვილი.

ნაფიქრ - ნაბრძანოები

1. მოთმინება აჩის სე, ფესენი რამდისაც აჩის კაჟოფიფილება, ხოლო ნაჟოფი—მშვიდობა.

2. გზა სეგდისა, გზა კაჟანისა—ერთად ერთი გზაა საუკუნო ნეტარებისა.

3. მე შინასავს დამიფიო, რამეჟიც გულის უფრო აშოფოთებს, ვიდრე დიაცის დაწვებზე ჩამონადენი ცრემლები.

4. ერთად ერთი ძაღა, რამეჟიც აცის-კოფენებს ბნელთ მოცულს ქვეყნიერობას—აჩის ის ძაღა, რამეჟისაც ასე უბრალოდ ეძახიან სიყვარულს. და რასაჟიერეჟი იქნება, თუ კეთილს საქმეს, მხოლოდ სიყვარული შეიქმს?!

5. იმ სულიერმა აჩსებამ, რამეჟისაც დიდებთ უძახიან ადამიანს,—ყველათვის გაკებას მიადწია, ხოლო თვისს შესახებ—ვერაფერი შეიგნა. თვისი თავის გაკებას, ადამიანები სენს ეძახიან!..

გ. ლ.

სუსხიანი ამბები

◆ ტფ. ქართული „სამეურნეო ბანკის“ დირექტორი საყოველთაოდ აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ ახლო მომავალში დანიშნულია საგანგებო კრება. განსახილველია შემდეგი საგნები: მოსამსახურეთა ჯამაგირების მოშატება და შტატის გადიდება, რადგან ეხლანდელი მოსამსახურეები ვეღარ ასდიან ანგარიშებს. ამასთანავე გასანაწილებელია წარსული წლის მოგება, რომელიც შესდგება მილიონ-ნახევარ მანეთისაგან.

◆ როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, იქაურ თავად-აზნაურობას გადაუწყვეტია, გაჰყიდონ უცხო ხალხზე ის მამულებიც, რომლებიც კი დღემდის გადარჩენილია. აღებულ ფულით აზრდა აქვთ გახსნან „რესტორანი“, რომლის გვერდით მოწყობილი იქნება „კლუბი“ ზურნა-სახანდარ-არღით.

◆ სოფლის მამასახლისები, ნაცვლები, სუდიები, ჩაფრები და გზი-

რები ძალიან დაუმწუხრებია სოფლად გაჩენალ ფრინველებს ჭირს, რადგან მოაკლდებათ ცივ-ცივი დედლები.

◆ როგორც ხმები დადის, ჩვენს გამოჩენილ ისტორიკოსს ბ. კაკაბაძეს იმ ჯორის ნალი აღმოუჩენია, რომელზედაც ვალაამი იჯდა. ამასთანავე ბ. კაკაბაძეს ნამდვილ წყაროებიდან გაუგია, რომ შოთა რუსთაველი თამარის დროს კი არ ეკუთვნის, არამედ უძველეს დროს, ესე იგი, ნაბუქოდონოსორის დროს.

◆ ჩუღურეთში, მეზურე ვასილუკა ოუსიშვილს გაუხსნია ლანძღვა-გინების კურსები. ამისათვის ვურჩევთ მისსავე ამქარს მიმართონ მას.

გულგული და უორანი

(იგავი)

ბუღბუღს ბარტყებისთვის პეპელა მიჰქონდა. მის დაქერის დროს ფრთაზე ცოტა მაყვლის წვენი მოსცხებოდა და შავად აჩნდა; ბუღბუღი ამას ვერ ამჩნევდა. გზაზე ყო-

გო თინა და საბდა. მისი ქონება შესდგებოდა გვერდზე წამოქცეულ ქოხისა, ერთი დღის მიწისა და პატარა ბოსტანისაგან. ერთი საკვირველი თვისება ჰქონდა ბეროს. თუმცა მეოჯახეც იყო და თავისთვის არაუშავდა-რა, მაგრამ ოჯახს იგი სულ არ უდგებოდა, იგი სულ ვენახში ტრიალებდა და გულმოდგინედ მუშაობდა. ზამთარ-ზაფხულს და უქვე დღეებში სულ ვენახში ატარებდა დროს, რომელიც დაშორებული იყო მის სოფელ მაყლოვანიდან ხუთა-ექვსი ვერსით.

— კაცო, რა სულ ემაგ ვენახს მიჰშტერებხარ, მაგის მეტი არა გაბაღია-რა? დაამუშავე ბოსტანი, მიწა და შენთვის იქნები.—მრავალჯერ შეუნიშნავთ მეზობლებს.

— არა, თქვენი ჭირიმე, არა, ვენახს როგორ დავანებებ თავს!—იტყოდა ხოლმე ბერო...

ბერო განთქმული იყო სოფელში, როგორც მუყათი მომუშავე და ალაღი მარჯვენის პატრონი.

რანი შემოეყარა. მან ბუღბუღს ახედ-დახედა და მიაძახა:

— დობილო! ფრთაზე რაღაცა შავად გაჩნია, სად მოგეცხო?

ბუღბუღმა ფრთაზე დაიხედა და მხოლოდ ახლა შენიშნა მანზე შავი წერტილი მაყვლისა.

— როცა ბარტყებისთვის ამ პეპელას ვიქერდი, ალბად მაშინ მომეცხო — მიუგო ბუღბუღმა.

— უჰ, რა საძაგლად გაუშნოვებს! საძაგელი რამ არის შავი ფერი, ეცადე მალე მოიშორო!—უთხრა ყორანმა.

— თუ ჩემ ფრთაზე ბეწვის ოდენი შავი წერტილი გეჩოთირება, ერთი შენს ტანზეც დაიხედავდი!—სიბრალოლის კილოთი მიუგო ბუღბუღმა.

ყორანმა თავის ტანზე დაიხედა და დარცხვენილი გზას გაუდგა.

ა. ფ - ია.

რა ღირსებისა უნდა იყოს მუხანალისტი

ქურნალისტმა უნდა შეითვისოს მოთმინება ვირისა და მისებრ მოთ-

— ვენაცვალე, ბერუას მარჯვენას!—იტყოდნენ სოფლის მოხუცე ბუღბუღები.

მუშაობდა ბერო და თან შემოსძახებდა:

- აი, ივანე, ივანე,
- ვერ ამოუხველ სევდასა.
- კლდეში ჩაჰჩხე ურემი -
- კაცი ვერ გადიხედავსა!.. ღ სხ.

II

გათავდა აგვისტო. დგება სექტემბრის ფერ-წასული დღეები. მზეს ძაღო ეკარგება. მისი ცხოველი სხივები ვეღარ ათბობენ მის დამწუხრებულს გულს. მოიწყინა მზემ, მოიწყინა მიწამაც... სოფელს შემოდგომის ნისლი ჩამოაწვა... მოსწავლენი, რომელნიც ამხიარულებდნენ მოწყენილ სოფელს, ისინიც გაიკრიფნენ ქალაქში, თვისი მოვალეობის აღსასრულებლად. დაღონდა სოფელი... მაგრამ ამ დაღონებასაც სიხარული მოსდევს... სოფელში რთველია... გაფაციცებით ჰკრეფენ ვენახებს და თან მხიარულად მღერიან...

ბერო ბაქალიშვილი

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

I

ზაფხულია. ცაზე ერთი ღრუბელის ნაჭერიც კი არა სჩანს, ისეა მოწმენდლი. შუადღის სიციხე ჰხუთავს ყველაფერს. ნიაფი, ცელქი, შიკრიკი მთებისა, აღარ სრიალებს მთის ცის გულმკერდზე. დადუმებულია ყველაფერი. ყველა არსი დაუტყვევებია მზის მადლიან და ცხოველმყოფელს სხივებს. ბუნების დუმილს, ოდნავდა არღვევს მღ. ი—ს მხუილი. მდინარის ნაპირებზე გაშენებულია სოფლის ვენახები, რომელშიც ერთი ამ ვენახთაგანი, ეკუთვნის ბერო ტბელიშვილს.

ბერო არის შუახნის კაცი. მიმზიდველია მისი ჩასხმული და ძარღვიანი ტანი... შუბლზე დაჩნეული ნაოჭები ამოწმებენ, რომ მისი წარსული შეერთებული ყოფილა ლუკმის ძებნაში. ბერო მარტოხელა როდი იყო; მასაც ჰყავდა ოჯახი: მეუღლე სალომე და მისი ორი გო-

მინებით უნდა ილაზლაზოს, როცა მათრახისა და სახრის ქახაქუხი მოესმის; ჟურნალისტი უნდა ედრებოდეს აქლემს, რათა რამდენიმე დღე უსმელ-უჭყელი გასძლოს და იმავე დროს აქლემისებურის თავაწეულ ამაყოებით უნდა ვიდოდეს გაზეთის უდაბნოში. ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს მეძებარ ძაღლის ყნოსვა, რათა მაშინვე იგრძნოს სად და რა სოროში იმალება ნადირი და მხეცი, უნდა შავარდენის ჰერეტა ჰქონდეს, რათა აღმოაჩინოს მტერა და მანე; ხშირად თხუნელასავით მკვდრათ აჩვენოს თავი, როცა მის თავზე რაიმე უბედურება დატრიალდება, ჟურნალისტმა კუს სიარულიც უნდა შეისწავლოს, რათა არავინ შეამჩნიოს, რომ თუმცა წყნარად, მაგრამ მაინც წინ მიდის, ხშირად როცა საჭირო იქნება ხელიკისავით ფერი უნდა იცვალოს, ფრთხილად და ცქვიტი უნდა იყოს, ვით ირეძი და იმავე დროს მაიმუნნადაც უნდა იქცეს, რათა ყველა-

სათვის მუდამ მოღიპარი და მხიარული იქმნეს.

დ ე კ ე უ ა

(სიკინჭაქას სსაგენტოსთვის)

სახხმრამ. ცნობილი „ლევანდი მოარშიყე“ გაფაციცებით ეძებს „სიკინქალას“; მპოვნელის პრემიათ დანიშნულია ვანკას დუქანში გამობრუნება.

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა დაიწყეს ხიდის კეთება; როგორც ამბობენ ხიდი ორ სართულიანი იქნება, ზედა სართულში აღამიანები ივლიან, ქვედაში კი ჟრმები.

ამ მოკლე ხ.ნში მოხდება „მოპარუსკე“ ქალ-ვაჟთა გრანდიოზული მიტინგი; მიტინგზე ლევანდი წაიკითხავს რეფერატს „უხეჯორსტვო“ და მისი მნიშვნელობა.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივ ქალების პროგიმანაზიას „ფუნდამენტად“ ერთ-ერთ „მოცქრიალედ“ ყმაწვილს ჩააყოლებენ.

— აქეთ კალათა!.. აკიდო!.. აპა, აიკიდე! — ისმის ხმაურობა ვენახებიდან.

ბეროსაც დღეს აქვს რთველი. მის მხიარულებასაც საზღვარი არა აქვს. თორმეტი წლის ყმაწვილს დაემგზავს იგი. ჯარასავით ტრიალებს და მხიარულად მიარბენინებს კალათებს გოდრებთან... მის მეუღლეს სალომეს აღტაცებას საზღვარი არა აქვს. იგი გვერდში ამოსდგომია ქმარს და ამაყობს მისი მარჯვენით. და მართლაც საამაყოდ უნდა ჰქონდეს ბეროს მარჯვენა... აბა შექხედეთ პატარძალსავით მორთულ-მოკმაზულ ვენახს! განა ყველა ამას, გაკეთება არ უნდა!?!.. და ვინ შესძლო? — სულ ბეროს მარჯვენამ, მარტო ერთმა. მას არავინა ჰყვანდა დამხმარე მუშაობაში.

III

ვენახებში რაღაც ხმაურობა და წივილ-კივილი ასტყდა: „აი, შე ძაღლო, შე არააძნადავ, არა გრცხვენია!“ — გაისმოდა გულ-საკლავისიტყვები.

გეო დადიოდა ვენახებში და ვალში პარტონებს ართმევდა მთელი წლის სარჩო-საბადებელს. გეოს ბუხრის ქუდი ჩამოეფხა, გამოეშვირა საზისლარი ღიბი და ვენახებს აწერინებდა ბოქაულს.

— აი, აქეთ წამობძანდით აქეთ, ბ-ნო ბოქაულო! — უჩვენებდა გამხიარულებული გეო სასამართლოს ბოქაულს ბეროს ვენახზე — აი, ამ კაცზეა ხუთი თუმნის აღმასრულებელი ფურცელი და უნდა აუწეროთ ვენახი.

გეო ამალით შევიდა ვენახში. ბეროს ფერი ეცვალა. პატარა გოგოები დაიმაღლნენ. სალომემ თავსახვევი მოიხვია და ქმარს ამოუდგა გვერდში.

— აბა, უნდა წავილოთ ყურძენი, იძლევი თუ არა? — შეეკითხა გეო მიბნედილ ბეროს და თან ჩაფრებს რაღაცა ანიშნა.

— ნუ მღუპავ, შენი ქირიმე, დამაცადე, აგრემც მერტი გადღეგრძელებს. ნუ იზამ მავას შენი ქირი-

(ჩქვას სსაგენტოსთვის)
დ. სუჯუნა (სამეგრელო). კაცი კი არა, სპილო ვერ იძვრება აქაურ გზებზე. გაზაფხულზე მოელიან გზის კეთებას, როცა პალიასტომი და რიონი ამოშრება.

ფოთი. კაპარქიანის პირზე პირდია ყრიან ხერხის მანქანის პატრონები, რადგან ტყე უკვე მოთავდა. მოელიან ებრალიძების ტყის ამოგდებას, მაგრამ მანამდის ბევრი ტურა დაიღმუვლებს.

სარხარის პაჭკაჟის ბაქი-ბუქი

„ამემდმა“ სთქვა: რაც მინდოდა ავისრულე სურვილიო, ყველამ იცის რასაც ვიტყვი არ იქნება ტყუილიო; ყოფილმა მღუმამ, ღარიბმა შევიძინე ქონებაო. (მისი მიზეზი ის არის რომ დაჰკარგე გონებაო), დავივიწყე ღარიბები ჩემი ყოფილი ძმებია,

მე!.. შეიბრალე საწყალი ოჯახი!.. ემუდარებოდა ბერო.

ბოქაულმა უბრძანა ჩაფრებს, რომ გოდრებისთვის ეპატრონებინათ. სალომე გაიქცა გოდრებთან და ზედ გადაეფაფრა.

— არა, ჩემის ცოცხალის თავით ვერ დაგანებებთ. — გაჰკიოდა გამწარებული სალომე.

— პატივი მეცით, სვინდისი იქონიეთ. — იხვეწებოდა გაშმაგებული ბერო.

— კნიაზჯან, რად გაწუხებს, უთხარი გზირებს, რომ მოგაშორონ ეგ კაცი.

— გზირებო! — შეჰყვირა ბოქაულმა — მომაშორეთ ეს წყეულები.

— გზირები მიჰვარდნენ კოლქმარს და გაშმაგებით დაუწყეს ცემა.

კოლქმარნი ჰკვნესოდნენ... გზირებმა მოაფლეს ხელი ყურძენის გოდრებს. დაუდეს ურემზე და გასწიეს... სალომე და ბერო ველა-რაფერს ჰგრძნობდნენ. ისინი გაყუჩებულნი ზმუოდნენ...

მე იმათი აღარ მესმის
გაქირვებისა ხმებია.
დღეს ჩემია მხოლოდ ისა,
ვინც ჩემსავით სქელია.
„კნიაზჯანებს“ ვენაცვა
იმათ მივეც ხელია.

„სანომ“ უთხრა: შვილოჯან,
რაზე ცხარობ მალ-მალე
თუ სათქმელი რამე გაქვს,
კოტა მაინც დამალე.
ხომ მიყურებ აგერ მე,
როგორ მოვრთე საქმეო;
არაფრისა არ მქონემ
სახლნი გადავხლართეო.
ჩემზე გლახას, გაფცქვნილსა
ვერ ნახავდით ვერვისა,
მაგრამ „ყოზი“ გავჩახრე
და შემძლე ვარ ბევრისა.
ათასამდის „ლისტი“ მაქვს,
ვექსილს ხომ თვლა არ აქვსო,
თხოვნის წერით დავითსა—
მოსვენება არ აქვსო.

ამ დროს „ალა“ მოფორთხდა
მოახსენა ნელოა:

IV

სალამოთი ბოქაული და გეო სოფ-
ლის დუქანში ქეიფობდნენ.

— მოიტათ ღვინო, სველი ხელა-
და, აქეთ!—ორიალებდა და გაჰკიო-
და გეო...

იმას ბანს აძლევდნენ შეზარხოშე-
ბული გზირები.

— გეო მინასი, ერთა გვიამბეთ,
საიდანა ბრძანდებით თქვენ? დაეკითხა
სასამართლოს ბოქაული.

— მე კნიაზჯან, თვით არ ვიცი
სადაური ვარ. გამიგონია, რომ დედ-
მამა მყოლია ოდესმე, მაგრამ დამ-
ხოციან, შემდეგ ცხონებულ ბებია-
ჩემს ჩემი თავი სირაჩხანაში მიუბა-
რებია, იქ კარგა ხანს ვიყავი. მერე
კი, როდესაც შემისრულდა ყავლი,
შეფაროვე საკმაო თანხა და გავს-
წიე ამ ტუტუტუ ქართველებს სოფ-
ლებისკენ. აქ ბევრი ვიშრომე, ვიწ-
ვალე, ჩარჩობა დავიწყე. გავასესხე
ფული სარგებლით, ჩამოვართვი
ბევრს ვენახები, მიწები და ბოლოს
კაი მზვარიც გავიჩინე. ეხლა კი კნი-

ეხლა მეც გამიგონეთ
რომ მოგიყვით ყველაო...
სწორედ ოცი წლის ვიყავ,
რომ მომიკვდა მამაო
თვალნი არ შემშრობია
ცრემლმა ლოყა ნამაო.
დავრჩი: ობლათ წყეული,
არვინ გამიკარაო.
მხოლოდ ერთი გამიჩნდა
იმან დამიფარაო,
თვის სახლში დამიყენა,
კოტაც შემეყვარაო.
„ბუჩუყსაც“ იძლეოდა
კერძოთ ხანდისხანაო.
ჯიბე ნელ-ნელ გავისქელე
გავხდი „კუბეკი გილდისა“
(სიმილიდრეც, რომ მემატება
რაც კი დროება მიდისა).
სწორედ ამ დროს დავივიწყე
ჩემი ეროვნებაო,
ქართველობა რათ მინდა
ვიცო გემოვნებაო.
აგერ ჩემს ღიბს შეხედეთ,
ლორის გეგონებაო
ახლო-მახლოს ღარიბნი
„ჩუმათ“ მემონებაო.

სიკინჭალა.

აზ, მთელი სოფელია ჩემს ხელშია
და ბზრიალასავით ვატრიალებ. ჩემ-
მა მზემ, კნიაზოჯან, ისე ვუყუარებ
სოფელს, როგორც ნამდვილი შამა.
თუმცა ზოგჯერ გამაჯავრებენ ხოლ-
მე, მაგრამ ეს ხომ არაფერია!..

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო გეო!
მადლიანი კაცი ყოფილხარ!—ეუბ-
ნებოდა უღვაშის სწორებით ბოქაუ-
ლი.

— მაშ ესეც შენი სადღევრძელო
იყოს!—შესძახა უცბად ბოქაულმა და
დასცალა საესე კიქა.

— ღმერთმა გადღევრძელოს გეო
მინისიჩ!—შეჰყვირეს ერთხმად გზი-
რებმა.

— მადლობთ გენაცვალეთ, გმაღ-
ლობთ. — წამდაუწუმ იმეორებდა
გეო.

V

ბერუას ოჯახი კი ამ დროს მო-
სთქვამდა თავის უბედურებაზე. ბე-
რო სტიროდა ჩუმად, სალომე გა-
ჰკიოდა და გოგოები ბანს აძლევ-
დნენ...

უჩ-მოპრული სუბარი

— ომიანობის არა ისმის-რა, ბა-
ტონო ფილოსოფოსო?

— თქვენ ცოლიანი ხარ, თუ
უცოლო?

— უცოლო ვარ.

— კიდევაც იმიტომ კითხულობ
ომის ამბავს. ითხოვე ქალი და მე-
რე სხვას აღარ დაეკითხები.

— მეგობარო, რადა ხარ მოწყე-
ნილი?

— ჩემი ცოლი მეტად მხიარუ-
ლად არის.

— მოხუცო, ერთი მითხარი, რით
განირჩევა ერთი მეორისაგან: ქალი
და მარტის თვე?

— მარტის თვე წელიწადში ერ-
თი თვეა, ქალი კი—თორმეტი თვე.

— ბრძენსა ჰკითხეს: წელიწად-
ში რამდენი თვეა?

— მინამდი უცოლო ხარ რვა,
როდესაც დაქორწინდები მერე-კა
თქვესმეტი იქნებაო—უბასუხა.

ჭიჭიკა.

ტირილისაგან დაოსებულთ, მიე-
ძინათ სიპ-ქვებზე. დაიძინა ყველამ,
მაგრამ ბეროს თვალს ძილი არ მო-
ჰკიდებია. შუა-ღამისას, იგი ადგა
ნელა, მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით.
გადაავლო თვალი ოჯახსაც. დაჰკოც-
ნა თავისი გოგონები. დაიჩოქა მეუღ-
ლის წინ და ნელის ხმით შესძახა:

— სალომე, ჩემო ერთად-ერთო,
ცხოვრებაში მანუგეშებელი, მშვი-
დობით! ეხლა შენ მარტომ სწიე
ცხოვრების ჭაპანი. თუმცა არ მინდა
მარტო დგარჩინო, მაგრამ მეტი
აღარ შემიძლიან.—სთქვა ეს და კა-
რებში გავარდა...

მეორე დღეს, სოფელში გავარა
და ამბავი, ბეროს თავი დაუხრჩვია
ი—შიო. შუადღისას მართლაც,
დამხრჩვალი ბერო ამოატარეს სო-
ფელში... მთელი სოფელი ცრემ-
ლებს აფრქვევდა მის გვამზე, ხოლო
სალომე კი გამწარებული გაჰყვირო-
და და ამ სალომეს ყვირილს უერთ-
დებოდა დაწიოკებულ გოგონების
უსაზღვრო კივილი...

გ. ლიგონიძე.

წერილი საჭკაიდიდან

დიდი ხანი არც კი არის,
რაც ჩვენს დაბას ეს ესტუმრა,
ჩინოების სამოსელში
დაბნას, სტუნავს მეტიანას.

კინტოურსაც კარვს თამაშობს
სტუნასაც ემსახურება,
დრამებში ხომ განთქმულია—
შესნიშვილიც ვერ ედრება.

კენიოსათ თავი მოაქვს
ტრანსპანა მეტის მეტი,
მკონია რომ გამოიღწიოთ—
დღეში სამჯერ უფლის რეტი.

ესლა კი მსურს ქარაფშუტა,
„ჯანსტი“ გამკვს წარუდგინო;
ეშმაკს ჯანსტი გამოვართვას
ზურგზე მტკევეა ავადინო.

მკონი ვეო, ესლა მიჯობს
შევისყენო აწი კმარა,
თარემ ბეგნი ჯღანბინსათვის,
„ჯანსტი“ მეტევის მეტიანას!

კოდრა.

გასართობი


ერთმა კაცმა დაჰპატიჟა და მო-
იწვია თავისი მეგობარი ქალი და
თან მისწერა: „რადგან ჩემთან ცოტა
დიდიხანს უნდა დარჩე, ურიგო არ
იქნება, რომ არ მოიწყინო და რაი-
მე ხელსაქმე, ან გასართობი წამოი-
ლოვო“. დანიშნულს დროზე ქალი
ესტუმრა თავისი მეგობარს და ხელ-
საქმის მაგიერ გასართობად ახალ-
გაზრდა კაცი მიჰგვარა.

რამდენ გრადუსამდე აღის სიცი-
ვე და ყინვა რუსეთშიო.—ეკითხება
გეოგრაფიის მასწავლებელი შე-
გირს — იმ გრადუსამდე აღის, რომ
კაცს სიტყვა პირზე უყინდებაო.—
მიუგო მარჯვე შეგირდმა.

ნუ თუ მართლა ცოლს ეყრე-
ბიო.—ჰკითხა ერთ კაცს მღვდელ-
მონაზონმა. ეგ ხომ ქრისტიანული
საქციელი არ არის, უნდა გახსოვდეს
საღმრთო წერილის სიტყვები: „ცოლ-

ქმარნი შეადგენ ერთს სხეულსაო“.
საქმეც ეგ არის მოძღვარო.—
მიუგო მწარედ ქმარმა.—თქვენ. რომ
ხშირად გამოგველოთ ჩემი სახლის
ფანჯრების წინ, მაშინ დაინახავდით,
როგორი ქრისტიანულის წესით ას-
რულებდა თავის მოვალეობას ჩემი
ცოლი, რომ შარტოდ და ერთად
თავის ღლეში ვერა ნახავდით.

ქელეხში ერთი სოფლელი მღვდე-
ლი დაესწრო. სუფრაზე სხვათა
შორის, ტოლმაც იყო. მღვდელი
სამ-ოთხ გუნდას ერთად ახვევდა
ლავაში და სკამდა. ქირისუფალმა
ეს შენიშნა და ნებიერად ჰკითხა
მღვდელს: „მამაო, თქვენ სოფელში
რამდენ მკვდარსა ჰმარხვენ ერთს
საფლავშიო“?—მღვდელი მიუხვდა და
წარბ შეუხრელად მიუგო: „თუ
რომ დიდია ერთსა და თუ წვრილ-
მანებია, ამ თქვენს ტოლმასავით,
მაშინ რამდენიც მოხვდებაო!“



მ. შალია

საქმ. ტ. 1917 წ. 1-7-17.